



დისტანციური ინკლუზიური
განათლების გამოწვევები და და
მათი **დაძლევის გზები** ოჯახისა
და სკოლის დონეზე



Save the Children

SAVE THE CHILDREN 2020

კვლევის ძირითად მიგნებები და რეკომენდაციები

განათლების სისტემაში გატარებულმა სისტემურმა რეფორმებმა: სასწავლო გეგმების, საგანმანათლებლო რესურსებისა და მასწავლებელთა და სხვა მხარდამჭერი სპეციალისტების პროფესიულმა განვითარებამ, დამატებითი დაფინანსების მოდელის დანერგვამ, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებამ დიდად შეუწყო ხელი სკოლების და მთლიანად ფართო საზოგადოების ცნობიერებისა და დამოკიდებულებების ცვლას **ინკლუზიური განათლების** მიმართ. შედეგად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების (სსსმ) სწავლა-სწავლებაზე ზრუნვა განათლების სისტემის განუყოფელ ნაწილად იქცა.

ქვეყანაში იზრდება მოთხოვნა ინკლუზიურ განათლებაზე, რაც ზოგადი განათლების საფეხურზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების რაოდენობის ყოველწლიური ზრდით დასტურდება. 2019 წლის მონაცემებით, 1244 საჯარო სკოლაში საგანმანათლებლო სერვისით 7 000-ზე მეტი სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლე სარგებლობს. მათ 1400-ზე მეტი დამატებითი სპეციალისტი (სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი და ა.შ.) ემსახურება.

თუმცა, მიუხედავად განხორციელებული რეფორმებისა, განათლების სისტემა - განათლების ყველა საფეხურზე - პანდემიამდეც ვერ უზრუნველყოფდა ყველასთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას და ხარისხიან ინკლუზიურ განათლებას.

2020 წლის პანდემია და დისტანციური სწავლება სერიოზულ გამოწვევად იქცა მთლიანად განათლების სისტემისთვის, თუმცა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მათი ყველა აუცილებელი დამხმარე საშუალებით აღჭურვა განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა.

ინკლუზიური განათლება ყველა მოსწავლის ერთიან, კარგად დაგეგმილ და სტრუქტურირებულ საგანმანათლებლო პროცესში ჩართვას გულისხმობს სპეციალური და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ჩვეული საგანმანათლებლო რუტინის შეცვლა, იზოლაცია და დამხმარე მომსახურებების არ არსებობა - სსსმ მოსწავლეებს საგანმანათლებლო პროცესის მიღმა დარჩენის რისკ აჩენს და საგრძნობლად ზრდის მათ მოწყვლადობას.



ინკლუზიური განათლების და მოსწავლეთა მრავალფეროვანი საჭიროებებიდან გამომდინარე, დისტანციური ინკლუზიური განათლების განხორციელება იზოლაციისა და შეზღუდული რესურსების პირობებში, ძალიან დიდ ძალისხმევას მოითხოვს როგორც სახელმწიფოსგან, ასევე თითოეული ოჯახისგან.

იმისათვის, რომ პროცესის სწორად დაიგეგმოს, დაინერგოს და განვითარდეს აუცილებელია, დისტანციური ინკლუზიური განათლების დანერგვის/განხორციელების ყველა სირთულე და სსსმ მოსწავლეთა/მათი ოჯახების მრავალფეროვანი საჭიროებები იქნას შესწავლილი და გაანალიზებული. საჭიროებების კვლევის შედეგების ანალიზი იძლევა შესაძლებლობას, სწორად დაიგეგმოს მიზნობრივი ჩარევის სტრატეგიები და რაციონალურად განაწილდეს ქვეყანაში არსებული, მწირი ფინანსური და ადამიანური რესურსები.

1406 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობლის და 718 მასწავლებლების/სკოლის ადმინისტრაციის მიერ დისტანციური ინკლუზიურ განათლების გამოწვევების და მათი დაძლევის გზების კვლევით დგინდება, რომ:

- ✓ მიუხედავად მცირე განსხვავებებისა, სსსმ მოსწავლეების მშობლები და სკოლის წარმომადგენლები, ერთნაირად აფასებენ არსებულ სირთულეებს და მათი დაძლევისთვის აუცილებელ ღონისძიებებს;
- ✓ პანდემიამდე, მშობლებისა და სკოლის წარმომადგენლების კმაყოფილების დონე ინკლუზიური განათლებით საკმაოდ მაღალია. კმაყოფილების განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი აქვთ სკოლის წარმომადგენლებს - 91%; მშობლებს - 80%;
- ✓ პანდემიისთან ერთად მკვეთრად იკლებს მშობელთა კმაყოფილების დონე დისტანციური ინკლუზიური განათლებით. იგივე ტენდენციას ვხედავთ სკოლის წარმომადგენლებთან, თუმცა აქ უკმაყოფილების მაჩვენებელი ოდნევ დაბალია. მშობლების მხოლოდ 58%-ი კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია საგანმანათლებლო პროცესით, ამასობაში სკოლის პერსონალის 65%-ი აფასებს განათლებას როგორც წარმატებულს ან ძალიან წარმატებულს;
- ✓ გამოკითხულ მშობელთა 5% (71 მშობელი) ხოლო, მასწავლებლების 2% (14 მასწავლებელი) აღიარებს, რომ დისტანციური ინკლუზიური განათლება საერთოდ არ იყო ხელმისაწვდომი;
- ✓ გამოკითხულ მშობელთა უმრავლესობისთვის (63%) დისტანციური სწავლება ინტერნეტით იყო ხელმისაწვდომი, თუმცა ეს პროცესი ბევრ სირთულეს უკავშირდება: ინტერნეტის შექმნა, ინტერნეტის ხარისხთან დაკავშირებული ტექნიკური სირთულეები; გაუმართავი, ხშირად სხვისი კომპიუტერი. მშობლების თითქმის ნახევარი მიუთითებს განათლების მიღების ორი ალტერნატიულ გზაზე: ინტერნეტი და ტელეფონი. მშობელთა 29% ტელე-სკოლას ანიჭებდა უპირატესობას.

- ✓ რაც შეეხება მასწავლებლებს, უმეტესობას (70%) ქონდა შესაძლებლობა ონლაინ ჩართულიყო სწავლების პროცესში. მასწავლებლების იგივე რაოდენობა ჩართულია სატელეფონო კომუნიკაციაში.
- ✓ მშობლები ასევე მასწავლებლები, რომელნიც ინტერნეტ დისტანციურ სწავლებაში იყვნენ ჩართული - Teams-ისა და Facebook-ის პლატფორმებს ანიჭებენ უპირატესობას. სხვა პლატფორმების წილი არ იყო მნიშვნელოვანი; იმ მშობლებიდან, ვინც დისტანციური სწავლებაში ონლაინ იყო ჩართული, დაახლოებით ნახევარი იყენებდა Facebook-სა და Teams-ს (56% და 53% შესაბამისად). სხვა პლატფორმების წილი არ იყო მნიშვნელოვანი. ანალოგიური სურათია სკოლის პერსონალის შემთხვევაშიც - გამოკითხულთა უმეტესი ნაწილი Facebook-ითა და Teams-ით სარგებლობდა (79,9% და 59,3% შესაბამისად). სხვა პლატფორმების წილი არ იყო მნიშვნელოვანი.
- ✓ დისტანციურ სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებული სირთულეებიდან ყველაზე ხშირად (მშობლებისა და მასწავლებლების მხრიდან) სახელდება სსსმ მოსწავლეების სახლში ინტერნეტის - 23%; პერსონალური კომპიუტერის არ ქონა - 21%, ასევე მოსწავლის მიერ კომპიუტერული უნარების არ ქონა- 26%;
- ✓ უშუალოდ საგანმანათლებლო პროცესის მთავარი გამოწვევაა სსსმ მოსწავლის დისტანციურ საგაკვეთილო პროცესში ჩართვაა- 19 %; თანატოლებთან ერთად; ერთ- ერთი ყველაზე მწვავე საკითხი კი სსსმ მოსწავლის ქცევის მართვა - 23%;
- ✓ სსსმ მოსწავლეების განათლება პანდემიის და დისტანციური სწავლების პირობებში, მშობლების თითქმის ას პროცენტთან ჩართულობას მოითხოვს. მშობლებისთვის ყველაზე რთული, მრავალ სხვა ვალდებულებას შორის დროის განაწილება და ბავშვის ქცევის მართვაა. ასეთივე მწვავე აღმოჩნდა დაბნეულობა/ინფორმაციის ნაკლებობა - 14% და ბავშვის სწავლების მეთოდების/სტრატეგიების არ ცოდნა და დამოუკიდებლად სასწავლო პროცესის - 30%; პრობლემად სახელდება საკუთარი სტრესის მართვაც.
- ✓ დისტანციური სწავლა-სწავლების სირთულეების დაძლევის შესაძლებლობას, მშობლები შესაბამისი უწყებების მხრიდან დამატებით დახმარებაში ხედავენ. განსაკუთრებული მოთხოვნა ინდივიდუალურ მეცადინეობასა და სპეციალურ მასწავლებელზეა; ასევე მაღალია მოთხოვნა ფსიქოლოგებზე. მშობლები, სკოლის რესურს ოთახების პერიოდულ გამოყენებასაც უჭერენ მხარს და ინკლუზიური განათლების პროცესში ჩართული სხვა სპეციალისტების დახმარებაც ჭირდებათ (პერსონალური ასისტენტი, ჟესტური ენის თარჯიმანი);
- ✓ მშობლებიც და მასწავლებლებიც დაახლოებით ერთნაირად აფასებენ სკოლაში დაბრუნების სირთულეებს. ყველაზე მწვავედ გამოიკვეთა სასწავლო რესურსების დეფიციტი, სადაც ორივე ჯგუფი მოიაზრებს როგორც ტექნიკურ საშუალებებს (კომპიუტერი, ინტერნეტი სკოლებში და მოსწავლის სახლში) ასევე, **რესურს ოთახების აღჭურვილობას, თვალსაჩინოებებს, სასწავლო მასალას**. კიდევ ერთხელ ძალიან მწვავედ სახელდება მოსწავლეების ქცევის მართვის სირთულე, განსაკუთრებით რეგულაციების დაცვის კუთხით (პირბადე, დისტანცია შესვენებებზე); მნიშვნელოვანია მასწავლებლებლების კვალიფიკაციის საკითხიც და ზოგადად ადამიანური რესურსის სიმწირე ინკლუზიური განათლების მართვის პროცესში.

რეკომენდაციები

კვლევის მიგნებებზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა პანდემიის პირობებში ინკლუზიური განათლების საჭიროებების შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება ოჯახის და სკოლის დონეზე.

რეკომენდაცია #1 - აუცილებელია სკოლის და სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლების მჭიდრო თანამშრომლობა არსებული საჭიროებების უწყვეტი იდენტიფიკაციისა და მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, როგორც მოსწავლის სასწავლო პროცესის ხელშეწყობის, ასევე სტრესის მართვის და პოზიტიური მშობლობის თვალსაზრისით;

რეკომენდაცია #2 - აუცილებელია განათლების სისტემაში დამატებითი ფინანსური და ადამიანური რესურსის მობილიზება, როგორც ტექნიკური საშუალებების უზრუნველყოფის, ასევე ინდივიდუალური დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობისთვის (სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ტუტორი და სხვ.);

რეკომენდაცია #3 - აუცილებელია:

1. ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, პატარა ქალაქებისა და სოფლების ჩათვლით;
2. ამისათვის აუცილებელი ბიუჯეტის განსაზღვრა და დაფინანსების მოპოვება, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასევე დონორი ორგანიზაციებიდან;
3. უწყებათაშორისი კოორდინაცია სხვადასხვა ტიპის მომსახურების ხარჯების დაფარვის მიზნით მაგ. ფსიქოლოგი, პერსონალური ასისტენტი შესაძლებელია სოციალური პროგრამებით დაფინანსდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისთვის;
4. ალტერნატიული დახმარების მოდელის შემუშავება და ფართოდ გავრცელება (უნივერსიტეტის სტუდენტები; პროფესიული ორგანიზაციები და სხვა);
5. ინკლუზიური განათლების დამხმარე მომსახურებების უწყვეტობის და მდგრადობის უზრუნველყოფა პანდემიის დასრულების შემდეგ, შესაბამისი მონიტორინგის სისტემის შემუშავების გზით.



Save the Children